მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი 11 ნოემბერი 2022 წელი

ერთი მხრივ შპს „თბილსერვის ჯგუფი“ (ს/კ: 206267494 „შემსრულებელი”) წარმოდგენილი ქონების მართვის დეპარტამენტის, გაყიდვების სამსახურის, გაყიდვების მენეჯერი ლადო ბენდიანიშვილის სახით და მეორე მხრივ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (ს/კ: 204564845) წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი (მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) ლევან ცერცვაძის სახით და ორივე ერთად მხარეები, 2022 წლის 02 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულების (გ.შ.39/22) საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე მიღება-ჩაბარების-აქტს შემდეგზე:

1. შემსრულებელმა ზემოაღნიშნული ხელშეკრულების შესაბამისად შეასრულა ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება კერძოდ, უზრუნველყო საყოფაცხოვრებო ნარჩენის გატანას და დამკვეთის სურვილის შემთხვევაში მისი განადგურება-გაუვნებელყოფა.
2. ხელშეკრულების 3.3 პუნქტის შესაბამისად მომსახურების ერთჯერადი გატანის ღირებულებამ შეადგინა 335.72 (სამას ოცდათხუთმეტი ლარი და 72 თეთრი) ლარს.
3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების (ნარჩენის ერთჯერადი გატანა) გაწევა განხორციელდა 4 (ოთხი) ჯერ, რაც ჯამში შეადგენს 1342.88 (ათას სამას ორმოცდაორი ლარი და 88 თეთრი) ლარს.
4. ნარჩენის განადგურება-გაუვნებელყოფის ღირებულებამ შეადგინა (4000 კგ) 93.04 (ოთხმოცდაცამეტი ლარი და 04 თეთრი) ლარი.
5. ჯამში შესრულებული სამუშაოს ღირებულებამ შეადგინა 1435.92 (ათას ოთხას ოცდათხუთმეტი ლარი და 92 თეთრი) ლარი, დღგ-ს ჩათვლით.
6. ხელშეკრულების 3.9 პუნქტის შესაბამისად ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
7. ორივე მხარე ადასტურებს, ყოველივე ზემოაღნიშნულს და მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ.

შპს „თბილსერვის ჯგუფი“

ლადო ბენდიანიშვილი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა

და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

Levan Tsertsvadze

Digitally signed by Levan Tsertsvadze
Date: 2022.11.11 17:52:45 +04'00'

ლევან ცერცვაძე